ნაშრომში განხილულია ინგლისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ტიუდორების არქივის ბეჭდური კოლექციის ერთი დოკუმენტი. კერძოდ, ინგლისის სახელგანთქმული ხელმწიფის ჰენრი VIII-ის კანცელარიისათვის განკუთვნილი 1514 წლის ლათინური წერილი „The Holy Sepulchre“ ანუ „წმინდა საფლავი“. დოკუმენტი მოგვითხრობს წმინდა მიწაზე გოლგოთისათვის ქართველთა ბრძოლის შესახებ. XVI საუკუნეში, როგორც ირკვევა, ქართული ქრისტიანული თემი ახერხებდა იერუსალიმში საერთაშორისო თუ რელიგიური პროცესების ისე წარმართვას, რომ მოვლენები ევროპელი მონარქების ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ლიტ. 11.

ავტ.

6.1.2. არქეოლოგია

1.6.1.2.1. ახალი ხედვა კავკასიის შესახებ ძველი ცივილიზაციების სისტემაში. /კ. ფიცხელაური/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2019. – ტ. 13. – #1. – გვ. 188-195. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების წარმართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და მონაპოვარი მასალის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძველზე გაანალიზება შექმნის მონაცემთა მნიშვნელოვან ინოვაციურ ბაზას, რომელიც სწორი მიმართულებით წარმართავს კვლევით პროცესს და კავკასიას თავის კუთვნილ ადგილს დაუმკვიდრებს მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციების სისტემაში. ლიტ. 21.

ავტ.

1.6.1.2.2. არქეოლოგია უძველეს ქართულ ოქრომჭედლობაში გამოყენებული ზოგიერთი ტექნოლოგიური ხერხი და ინსტრუმენტი. /ე. მაღრაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #2. – გვ. 122-126. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში შესწავლილ-იდენტიფიცირებულია უძველეს ქართულ საოქრომჭედლო სახელოსნოებში გამოყენებული ზოგიერთი ტექნოლოგიური ხერხი და ხელსაწყო-ინსტრუმენტი. საიუველირო ხასიათის ძველ წერილობით წყაროებში მოცემულ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომლებიც შეეხებოდა ძვირფასი ლითონის დამუშავებასა და მსოფლიოს საიუველირო პრაქტიკაში გამოყენებულ საჭირო სპეციფიკურ ინსტრუმენტებს. ამ წყაროებში მოცემული თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის შესწავლის, ასევე ჩატარებული ცდა-ექსპერიმენტების შედეგად დადასტურდა, რომ ანალოგიური ხერხებითა და ტექნიკური ხელსაწყოებითაა შექმნილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის არტეფაქტი - მოგავარსებული აპლიკაციებით დამშვენებული ე.წ. თრიალეთის ოქროს თასი. აღნიშნული ძეგლი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის საგანძურის ფონდშია დაცული. სურ. 6, ლიტ. 6.

ავტ.

1.6.1.2.3. ქალკოლითური დასახლება ბრინჯაოს მღვიმეში, ცუცხვათის მღვიმოვანი, საქართველო, იმერეთი. /ნ. ცქვიტინიძე, ნ. წიქარიძე, ე. ყვავაძე, დ. ლორთქიფანიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2020. – ტ. 14. – #2. – გვ. 127-131. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წარმოდგენილია ცუცხვათის მღვიმოვანში, კერძოდ, ბრინჯაოს მღვიმეში ახლადაღმოჩენილი ქალკოლითური მასალის კვლევის შედეგები. დასავლეთ საქართველოს ქალკოლითური ძეგლების სიმწირე ბრინჯაოს მღვიმეში აღმოჩენილი მასალის მნიშვნელობას ზრდის და სიახლეს წარმოადგენს. საქართველოს ქალკოლითური კულტურა ძალზე თავისებურია. მას ბევრი საერთო აქვს როგორც წინამორბედ ნეოლითურ, ასევე მომდევნო ადრებრინჯაოს კულტურებთან. ნეოლითთან სიახლოვის მიუხედავად, ქალკოლითში უკვე ჩნდება ამ კულტურისგან